ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის სხდომის

**ოქმი N 10**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 30 ნოემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 27.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

**<u>დღის წესრიგი:</u>**

1. ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის შესახებ
2. პროფ. თ. თადუმაძის ივანე ჯავახიშვილის მედალზე წარდგენის შესახებ
3. ფაკულტეტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესახებ
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო 2018-19 სასწავლო წლის წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი და მოკლედ ისაუბრა მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ. კერძოდ, გაზრდილია მისაღები კონტინგენტი - 760-ის ნაცვლად 815-ია. აქ შედის ქართულ-ფრანგული საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები 15 სტუდენტი. ამ რაოდენობას ემატება საქართველო-სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე მისაღები 200 აბიტურიენტი. 400 ადგილი კვლავაც უფასოა (იხ. დანართი 1).

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, დ.ძიძიგურმა, მ.ხაჩიძემ და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილი იქნება ცალკეულ საგნებში კომპეტენციის ზღვარის შემცირება, რასაც სხვებიც დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – პროფ. თ. თადუმაძის ივანე ჯავახიშვილის მედალზე წარდგენის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა მოკლედ დაახასიათა პროფესორი თამაზ თადუმაძე, შემდეგ

კი სიტყვა გადასცა მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორ ომარ ფურთუხიას. ბატონმა ომარმა ისაუბრა პროფ. თამაზ თადუმაძის მოღვაწეობის და მიღწევების შესახებ, რომელიც უკვე 45 წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშობს (იხ. დანართები 2.1-2.2 - წარდგინება და CV).

**აზრი გამოთქვეს**: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ა.შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე პროფესორ თამაზ თადუმაძისთვის ივანე ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

**გაიმართა ღია კენჭისყრა.** მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

**დაადგინეს:** აღიძრას შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე პროფესორ თამაზ თადუმაძისთვის ივანე ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი – ფაკულტეტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის შექმნის შესახებ. სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა.შენგელაიამ საბჭოს წევრებს გააცნო კომისიის დადებითი რეკომენდაცია ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („ოკეანეჰიდრო“) შექმნის შესახებ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის სახელზე შემოსული იყო შემდეგი დოკუმენტაცია: ინსტიტუტის დებულება, სამოქმედო გეგმა და ინსტიტუტის თანამშრომელთა სია ფუნქციების განაწილებით და მათი CV-ბი (იხ. დანართები 3).

**აზრი გამოთქვეს**: პროფესორებმა გ.ღვედაშვილმა, ა.შენგელაიამ. მათ აღნიშნეს, რომ ინსტიტუტის თანამშრომლები ჩართულნი არიან ევროგაერთიანების “Horizon2020”-ის გრანტის შესრულებაში (2016-2019 წწ.).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნული ინსტიტუტის შექმნის საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნას ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („ოკეანეჰიდრო“). შევიდეს შესაბამისი ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში და აღნიშნული ინსტიტუტი დაემატოს სტრუქტურული ერთეულების სიას.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები.

ა) საგამომცემლო კომისიებში ცვლილებების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგიერთი საკადრო ცვლილებების გამო საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა ზოგიერთი დეპარტამენტის საგამომცემლო კომისიის შემადგენლობაში. კერძოდ, ფიზიკის დეპარტამენტის საგამომცემლო კომისიაში თავმჯდომარის პოსტზე ასოცირებული პროფესორი ალ.თევზაძე შეცვალა პროფესორმა თ.კერესელიძემ, ხოლო ბიოლოგიის დეპარტამენტის საგამომცემლო კომისიაში ასოცირებული პროფესორი ს.ცაგარელი შეცვალა ასისტენტ პროფესორმა ქ.მენაბდემ.

ბ) ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი თითქმის 400 000 ლარზე მეტითაა შემცირებული, რაც გვაიძულებს გადავხედოთ თანხის განაწილებას და შევამციროთ დანახარჯები ნაკლებად პრიორიტეტული მიმართულებებით. აღნიშნულ საკითხზე გაიმართა დისკუსია. ერთობლივი მსჯელობით გამოიკვეთა, რომ თანხის დაზოგვა შესაძლებელია არსებული ვაკანსიების დროებით „გაყინვით", ინსტიტუტებში არსებული 2 ლაბორატორიის ფაკულტეტიდან მოცილებით (თუმცა ეს შეიძლება არ აისახოს ბიუჯეტზე), წიგნების შესყიდვაზე თანხის დაზოგვით.

გ) სადოქტორო თემის სათაურში ცვლილებების შეტანის და ხელმძღვანელის დამატების შესახებ. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ქიმიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინება დოქტორანტ მ.გვარამიასთვის სადოქტორო თემის სათაურის შესწორების და ხელმძღვანელების დამატების შესახებ (თან ერთვის დანართი 4 - ქიმიის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს დოქტორანტ მ.გვარამიასთვის სადოქტორო თემის სათაურის შესწორებისა და ხელმძღვანელების დამატების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** შევიდეს ცვლილება დოქტორანტ მ.გვარამიასთვის სადოქტორო თემის სათაურში. ახალ სათაურად დამტკიცდეს „მოდელური მემბრანების გამოყენება სხვადასხვა პროცესის შესასწავლად და მათი დახასიათება ნეიტრონული გაბნევის და რეოლოგიური მეთოდებით". სამეცნიერო ხელმძღვანელად დარჩეს ქ-ნი მარინა რუხაძე და დაემატოს 2 უცხოელი ხელმძღვანელი, დოქტორები ჰენრიხ ფრილიგჰაუსი და გაეტანო მანჯიაპია.

დ) საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მეექვსე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარდება 2018 წლის 5-8 თებერვალს და მიეძღვნება უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს. მათემატიკის სექცია მიეძღვნება ლერი გოგოლაძისა და თამაზ ვაშაყმაძის დაბადებიდან 80 წლისთავს. მან საბჭოს წევრებს ასევე შესთავაზა ცვლილებების შეტანა პლენარული სესიის განრიგში. კერძოდ: პლენარულ სესიაზე წარმოდგენილი იყოს

- დეპარტამენტების საანგარიშო მოხსენებები სტენდური სახით;
- თითოეული დეპარტამენტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ერთობლივ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების მოხსენებები.

აქვე მოხდება გამარჯვებულის დეკანის პრიზით დაჯილდოება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნული ცვლილებას.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** შევიდეს ცვლილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს (18/11.2012) დადგენილებაში „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ" და მას დაემატოს შემდეგი პუნქტი:
პლენარულ სესიაზე წარმოდგენილი იქნება

- დეპარტამენტების საანგარიშო მოხსენებები სტენდური სახით;
- თითოეული დეპარტამენტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ერთობლივ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების მოხსენებები.

**ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,**
**ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი**

**ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,**
**ასისტენტ პროფესორი**
**თინათინ დავითაშვილი**